საერთაშორისო ფოტოკონკურსი ”ფოტომანი 2013” (Photoman 2013)

ზოგადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

საერთაშორისო კონკურსი ”ფოტომანი 2013” (Photoman 2013) ტარდება პროექტის ”ყურადღება, გაიღიმეთ! აღმოსავლეთ პარტნიორობის საოჯახო ფოტოალბომი, შესაძლებლობების გაძლიერება, პარტნიორული კავშირების დამყარება და აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატური ფოტოგრაფიის განვითარება” (SAY CHEESE!) ფარგლებში. პროექტი ”SAY CHEESE!” ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ”კულტურის” მიერ.

ფოტოკონკურსი ტარდება ინტერნეტ რეალითი შოუს პრინციპით.

”ფოტომანი 2013”-ის ძირითადი ორგანიზატორი (ასევე ამ კონკურსის იდეის ავტორი) არის საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია (სფა).

კონკურსი ”ფოტომან”ი საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის ეგიდით უკვე სამჯერ ჩატარდა საქართველოს მასშტაბით და დღემდე პოპულარობითა და წარმატებით სარგებლობს ქართულ ფოტოსაზოგადოებაში.

წელს ”ფოტომანმა” საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა და უკვე ტარდება ევროკავშირის პროექტის SAY CHEESE! ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა). კონკურსი გამიზნულია ფოტომოყვარულებისა და ფოტოგრაფებისთვის. კონკურსის მიზანია საუკეთესო პროფესიული თვისებების მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა და წახალისება; ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთაშორისო ონლაინ ფოტოსკოლაში Photo-School.eu პილოტური კურსის მსმენელთა გამოვლენა.

წესები და პირობები

”ფოტომანი 2013” ტარდება კონკურსის ორგანიზატორების მიერ დადგენილი კონკრეტული წესებით და პირობებით. კონკურსი მიმდინარეობს ფეისბუკის ოფიციალური აპლიკაციის პლატფორმაზე.

კონკურსის ორგანიზატორები არიან პროექტის «SAY CHEESE! პარტნიორები - აღმოავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ფოტოგრაფთა ასოციაციები,

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) მოქალაქეებს 14 წლიდან.

კონკურსში მონაწილეობისთვის მსურველი ვალდებულია, დარეგისტრირდეს აპლიკაციით https://apps.facebook.com/photomann დადგენილი პროცედურის მიხედვით.

კონკურსანტი კონკურსში მონაწილეობით ადასტურებს და ეთანხმება კონკურსის წესებს და პირობებს.

კონკურსის წესების დარღვევის შემთხვევაში კონკურსანტი უპირობოდ მოიხსნება კონკურსიდან.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ კონკურსის ორგანიზატორებს, თანაორგანზატორებს და ჟიურის წევრებს.

კონკურსის წესები

კონკურსი ტარდება 4 ეტაპად. თითოეული ეტაპი მოიცავს კონკურსანტებისთვის ჟიურის მიერ ყოველი ეტაპის წინ მიცემულ კონკრეტულ დავალებას ფოტოგრაფიის სხვადასხვა ჟანრში, რომელიც კონკურსანტმა უნდა შეასრულოს კონკრეტულ ვადაში. კონკურსამდე გადაღებული ფოტოები არ მიიღება და ასეთის გამოვლენის შემთხვევაში კონკურსანტი უპირობოდ მოიხსნება კონკურსიდან. შესრულებული ფოტონამუშევრები კონკურსანტმა უნდა ატვირთოს Facebook-ის აპლიკაციაზე, მიმდინარე ეტაპის შესაბამის გალერეაში კონკრეტულ ვადაში. ფოტოს აუტვირთაობა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან. ატვირთვისთვის მოცემულ ვადაში კონკურსანტს უფლება აქვს, გაარედაქტიროს ფოტო.
საკონკურსო ფოტოს ტექნიკური მოთხოვნები გაწერილი იქნება ყოველი ეტაპის დავალებაში. ფოტო არ უნდა შეიცავდეს სარეკლამო, ტექსტურ ან გრაფიკულ ელემენტებს, რომლებიც არ წარმოადგენს კომპოზიციის ორგანულ ნაწილს. ტექსტის შემცველი გამოსახულება დაუყოვნებლივ წაიშლება.

კონკურსანტის მხრიდან საავტორო უფლებების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კონკურსანტი უპირობოდ მოიხსნება კონკურსიდან. ფოტოს ატვირთვისთვის განკუთვნილი ვადის გასვლის შემდეგ გალერეა იხურება და ირთვება შეფასების რეჟიმი. გალერეის დახურვის შემდეგ კონკურსანტს საკონკურსო ფოტოს გარედაქტირება-წაშლის უფლება აღარ აქვს. შეფასების რეჟიმი გრძელდება გარკვეული ვადით (ყველა ვადა მოცემულია თითოეული ეტაპის დავალების აღწერაში). შეფასების ვადის პერიოდში ფეისბუკის მომხმარებლები აფასებენ საკონკურსო ფოტონამუშევრებს შეფასების 10-ქულიანი სისტემით. თითოეული მომხმარებელი ერთ საკონკურსო ფოტოს მხოლოდ ერთხელ აფასებს.
შეფასების ვადის დასრულების შემდეგ აპლიკაცია პროგრამულად აჯამებს თითოეული საკონკურსო ფოტონამუშევრის ქულებს და ჯამური ქულების საფუძველზე და ადგენს კონკურსანტთა რეიტინგებს თითოეულ ეტაპზე. რეიტინგების ნახვა შესაძლებელია როგორც ერთიანი, ისე თითოეული ქვეყნის მიხედვით.
თითოეული ეტაპის შემდეგ მონაწილეთა რაოდენობა მცირდება. ყოველი ეტაპის შემდეგ ჟიური ადგენს თითოეული ქვეყნისთვის შემდგომ ეტაპზე გადასალახ ზღვარს. ეს ზღვარი დამოკიდებულია თითოეული ქვეყნიდან მონაწილეთა რაოდენობაზე, რათა კონკურსი დასრულდეს 6 ქვეყნიდან 90 გამარჯვებულის გამოვლენით. გარდა ამისა, ჟიური უფლებამოსილია, აუტსაიდერებიდან შემდეგ ეტაპზე გადაიყვანოს ორი მონაწილე თითოეული ქვეყნიდან.
ანალოგიური პრინციპით ტარდება მომდევნო ეტაპებიც.

კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენა

ეტაპების დასრულების შემდეგ იკრიბება საეტაპო ქულები, რის შედეგადაც გამოვლინდება საბოლო რეიტინგები ქვეყნების მიხედვით. თითოეული ქვეყნიდან უმაღლესი ქულების მქონე 15 კონკურსანტი (სულ 90 კონკურსანტი 6 ქვეყნიდან) გახდება კონკურსის პრიზიორი და მიიღებს 4-თვიან პილოტურ კურსზე (2014 წლის მარტი-ივნისი) უფასო სწავლის უფლების დამადასტურებელ სერთიფიკატს აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთაშორისო ონლაინ ფოტოსკოლაში PHOTO-SCHOOL.EU. 4-თვიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფოტოგრაფის სერთიფიკატი, რომელიც აღიარებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის ფოტოგრაფთა ასოციაციების მიერ. კონკურსის პრიზიორის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის ონლაინ ფოტოსკოლაში უფასო სწავლებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს უფლება გადაეცემა რეიტინგით მომდევნო მონაწილეს.
საკუთარ ქვეყანაში უმაღლესი ქულის მქონე კონკურსანტი შედის საპრიზო ექვსეულში (თითოეული ქვეყნიდან თითო გამარჯვებული). საპრიზო ექვსეულში უმაღლესი ქულის მქონე კონკურსანტს გადაეცემა გრანპრი. საპრიზო ექვსეულის დანარჩენი მონაწილეები მიიღებენ ფასიან პრიზებს.

ჟიური

საერთაშორისო ჟიური შედგება ექვსი წევრისგან (თითო წარმომადგენელი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ფოტოგრაფთა ასოციაციებიდან: ბელარუსის საზოგადოებრივი გაერთიანება "ფოტოისკუსტვო", სომხეთის ფოტოგრაფთა ასოციაცია, საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია, მოლდოვას ფოტოხელოვანთა კავშირი, უკრაინის ფოტოხელოვანთა ნაციონალური კავშირი, აზერბაიჯანის ფოტოგრაფთა კავშირი).

ჟიური ყოველი ეტაპის წინ შეიმუშავებს საკონკურსო დავალებას. ამასთან, ჟიური უფლებამოსილია, აუტსაიდერებიდან შემდეგ ეტაპზე გადაიყვანოს ორ-ორი მონაწილე თითოეული ქვეყნიდან. ჟიური უფლებამოსილია, საავტორო უფლებების, ან საკონკურსო პირობების სხვა მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებული ეჭვის შემთხვევაში კონკურსანტს მოსთხოვოს საკონკურსო ფოტოს დედანი ფაილი EXIF მონაცემებით; ასევე ჟიური უფლებამოსილია, ქულების ხელოვნურ მატებასთან დაკავშირებული ეჭვის შემთხვევაში შეამოწმოს ხმის მიმცემთა ექაუნთები და ეჭვის დადასტურების შემთხვევაში გააუქმოს ხმები.

საავტორო უფლებები

კონკურსის ყველა მონაწილე ადასტურებს, რომ კონკურსში წარმოადგენს საკუთარ ორიგინალურ ნამუშევრებს და ეს ნამუშევრები შექმნილია "ფოტომანი 2013"-ის დავალების ფარგლებში. ასევე, კონკურსის მონაწილეები ადასტურებენ, რომ ფლობენ საკუთარ ნამუშევრებთან დაკავშირებულ ყველა საავტორო უფლებას;
კონკურსში მონაწილეობით კონკურსანტი თანახმაა, რომ არ ექნება პრეტენზია "ფოტომანი 2013"-ის ორგანიზატორებთან და არ დააკისრებს პასუხისმგებლობას ამ კონკურსის

ორგანიზატორებს საკონკურსო ნამუშევრების გამოქვეყნებასთან და ამ ნამუშევრების არაკომერციულ გამოყენებასთან დაკავშირებით.
”ფოტომანი 2013”-ში მონაწილეობით კონკურსანტები ადასტურებენ, რომ ისინი კონკურსის ორგანიზატორებს აძლევენ უფლებას, აჩვენონ მათი ფოტოები ”ფოტომანის” ოფიციალურ ფეისბუკ-აპლიკაციაზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფოტოგრაფთა ასოციაციების ვებსაიტებზე, ”ფოტომანი 2013”-თან დაკავშირებულ სტატიებში, გამოფენებსა და პუბლიკაციებში და გამოიყენონ სამომავლოდ კონკურსის ”ფოტომანი” პიარ მიზნებისთვის საავტორო უფლებების დაცვით. ზემოჩამოთვლილი უფლებების გარდა კონკურსის ”ფოტომანი” ორგანიზატორებს სხვა უფლებები საკონკურსო ფოტოებზე არ გააჩნიათ.

პრიზები

* გრანპრი - ფოტოკამერა Canon 6D 24-105 მმ ობიქტივით. გრანპრის გენერალური სპონსორია თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი;

* ფასიანი პრიზები საპრიზო ექვსეულში გასული კონკურსანტებისთვის;

* ევროკავშირის პროექტის ”ყურადღება, გაიღიმეთ!” ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთაშორისო ონლაინ ფოტოსკოლაში PHOTO-SCHOOL.EU 4-თვიან პილოტურ კურსზე (2014 წლის მარტი-ივნისი) უფასო სწავლის უფლების დამადასტურებელი სერთიფიკატები უმაღლესი ქულების მქონე 90 კონკურსანტისთვის (აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეული ქვეყნიდან უმაღლესი ქულების მქონე 15-15 მონაწილე).

კონტაქტი: info@photographers.ge